საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადებები 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

№ 103

ოთხშაბათი, დეკემბრის 21

1921 წ.

## დანიშნული რევკომები უნდა შესცვალოს არჩეულმა საბჭოებმა.

## საბჭოებს ირჩევს მუშები და მშრომელი გლეხობა.

## უკვე მუშაობას შეუდგა საქართველოს საბჭოების მომწვევი ცენტრალური კომისია და მალე გამოქვეყნდება საარჩევნო დებულება-ინსტრუქციები.

## მზად ვიყოთ არჩევნებისათვის და ავირჩიოთ მშრომელთა მალა-უფლების ერთგულნი.

სახელმწიფო დრამის ქართველი მსახიობნი აუწყებენ საზოგადოებას მათი ამხანაგის, დამსახურებული მსახიობის

**სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილის (სვიმონიძის)**

გარდაცვალებას, პანაშვიდი დანიშნულია ოთხშაბათს, 21 დეკემბერს ქაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 5 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა იმავე ეკლესიიდან ხუთშაბათს წირვის შემდეგ, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ალექსანდრა გოგოლაშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე, დამსახურებული მსახიობი

**სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილი (სვიმონიძე)**

პანაშვიდი ოთხშაბათს, დეკემბრის 21-ს ქაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, წირვის შემდეგ, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

**ხელოვნების სასახლე**

სერგიევის ქუჩა № 13.

ხუთშაბათს, დეკემბრის 22-ს.

გაიმართება

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მორიგი

მეხუთე ლიტერატურული

**ხუთშაბათი**

მოხსენებას წაიკითხავს:

კოტე აბაშიძე

**„ტრაღიკული მხარე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“**

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 401

**ბორჯომის წყალი**

ამით ვაუწყებ აგენტებს, შემკვეთებს და კლიენტებს, რომ ჩემ მიერ აღდგენილია

**„ბორჯომის წყლის“ ვაჭრობა**

მლიერ დაკლებულ ფასებში.

გოლოვინის ქ. № 24. დ. ქებაძე.

**ბორჯომის წყალი**

ბორჯომის წყალი — ბორჯომის წყალი

## საბჭოთა სისტემა და ოთხ ფორმულიანი არჩევნები

ისტორიამ ბევრი კურიოზები იცის. პოლიტიკური პარტიები ხშირად იმყოფებიან კურიოზულ მდგომარეობაში. შესაძლებელია ამა თუ იმ მოულოდნელმა ფაქტმა სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდოს არა მარტო „სუსტი“ პოლიტიკური მოღვაწე, არამედ „ძლიერი“ პოლიტიკური პარტიაც. ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა სინანული გვმართებს უბრალო მომაკვდავთ, რომ ჩვენი ინტელექტი, ჯერაც ვერ მომართულა ისე, რომ მისთვის გასაგები გახდეს მოვლენათა თან მიმდევრობა.

მაგრამ არიან სხვა შემთხვევებიც, როდესაც კურიოზული მოვლენები გამომდინარეობენ არა იმ ობიექტიური მიმართულებათაგან, რომელიც ჩვენდა „მოულოდნელად“ ხდებიან, არამედ იმ სუბიექტიური უმეცრებიდან, (ან დაბნევიდან) რომელნიც ჩვენივე მცოხებით გამოაშკარავდებიან.

ტფილისში, არჩევნების დროს, ჩვენი ყოფილი ამხანაგები, ასეთ კატეგორიის კურიოზში იმყოფებოდნენ, ისინი აცხადებდნენ კრებებზე, რომ არ იღებენ არჩევნებში მონაწილეობას იმიტომ, რომ ფეხქვეშითელება დემოკრატიული პრინციპები, არ არის ოთხ ფორმულიანი არჩევნები და სხვა და სხვა...

ამ შემთხვევაში საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საბჭოთა სისტემასა და ოთხ-ფორმულიან არჩევნებზედ. საბჭოთა სისტემის შესახებ ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა დიდი კორიანტელი ასტეხეს. დღესაც ბევრი გულუბრყვილო ფიქრობს, რომ საბჭოთა სისტემის მიღებით ჩვენ გავბოლშევიკდით და სხვა.

პარტიის მხედველობას ნაკლებად მცნობი ამხანაგი და პარტიის ისტორიიდან მასალებს მოკლებული წევრი, მართლაც უჯერებს ასეთი ხასიათის განცხადებას. დავიწყოთ პარტიის ისტორიიდან. ჩვენი პარტიის კონფერენციას ჟენევაში 1904-ში გამოაქვს შემდეგი დადგენილება. ჯვალიარებთ რა, რომ მუშათა კლასის სოციალური და ეკონომიური განთავისუფლება უნდა იყვეს უმთავრესად მიზანი სოციალური მოძრაობისა; რომ განთავისუფლება მოხდება მხოლოდ თვით მუშათა მიერ, რომელნიც შეადგენენ ფედერატიულად შეკავშირებულ ავტონომიურ და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს“. (ხაზი ჩვენია. ს. ა.)

სამეულის (ან. ჯორჯაძის.) მოხსენებაში ვკითხულობთ: „ჩვენი აზრით სოციალიზმის განხორციელება კანონმდებლობის ხაზგასმებით უქმი გართულება და აქ იმალება უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და სოც.-დემოკრატებს შორის... ჩვენი შეხედულებით თუ დემოკრატიული რეჟიმი გადაკეთდება სოციალისტურ წეს-წყობილებად, იგი პროცესი კაპიტალის კონცენტრაციის ძალით და პარლამენტის კანონმდებლობის საშუალებით კი არ მოხდება, არამედ მუშაობასთან ხაზგასმების დანგრევის წყალობით და რევოლიუციის საშუალებით“ (ხაზი ჩვენია, ს. ა.)

„ჩვენ არ ვარწყუნებთ საპარლამენტო რეჟიმის სარგებლობას საზოგადოდ, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ იგი სოციალიზმს ვერ განახორციელებს“. (ხაზი ჩვენია ს. ა.).

რას გვეუბნება ზემოდ მოყვანილი ციტატები? რას იდებს იგი? პარლამენტარიზმს თუ საბჭოთა სისტემის წინა არსს?

რეზოლიუცია ნათლად გვეუბნება, რომ „მუშათა განთავისუფლება მოხდება მხოლოდ თვით მუშათა მიერ, რომელნიც შეადგენენ ფედერატიულად შეკავშირებულ ავტონომიურ და რევოლიუციურ ორგანიზაციებს“-ეს შინაარსია საბჭოთა სისტემისა. სხვა გვარი პასუხი სოციალიზმის განხორციელების საშუალებათა შესახებ, არც შეეძლო მიეცა ხალხოსნურ სოციალიზმის ნიადაგზე მდგომ პარტიას. იგი გადაჭრით ამბობდა თავის არსებობის დასაწყისში არაზიდით პირით, რომ „სოციალიზმის განხორციელება კანონმდებლობის საშუალებით უქმი გართულება“.

ეხლა ვკითხოთ, ვინ ჩაიდინა „ღალატი“ პარტიის პრინციპების წინაშე. როგორ შეეფერება მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკა პარტიის პრინციპებს, არაზიდის მსოფლმხედველობას? ამაზე პასუხი მიუდგომელი მკითხველისათვის მიგვინდვია. მაგრამ ეს პარტიის მიმართ. ეხლა ვკითხოთ შესაძლებელია თუ არა დიქტატურის მიღებლობა რევოლიუციონური პარტიისაგან. ვსთქვათ, რომ ოდესმე დადგა ბედნიერი დრო სოციალური რევოლიუციისა (ეხლა ხომ არ არის მემარჯვენე ფედერალისტების აზრით). ვინ უნდა აიღოს ხელში ძალა-უფლება? როგორი უნდა იქნეს გარდამავალი პერიოდის უფლებრივი ნორმა? ვინ უნდა მიმართოს სოციალური რევოლიუციის გეზია ბურჟუაზიამ და მშრომელმა ერთად? ეს კომ თეორიულად აბსურდია და პრაქტიკულად წმინდა სიგიჟე.

მაგრამ რა არის თავის თავად დემოკრატია და დიქტატურა? რა პოლიტიკურ ორგანიზაციას შექმნის მუშათა კლასი, როდესაც ის აიღებს ხელში ძალა-უფლებას? ამ საკითხის შესახებ ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მიმართულებაა თანამედროვე მუშათა მოძრაობაში. პირველი სდგას პოლიტიკური დემოკრატიის ნიადაგზე, რომლის ფორმა პარლამენტარიზმი. (ამ ნიადაგზე სდგას მეორე ინტერნაციონალი მენშევიკები და ჩვენში მემარჯვენე ფედერალისტები) მეორე იღებს პროლეტარიატის დიქტატურას, რომლის ფორმა მუშათა საბჭოებია.

დემოკრატია ხალხის, ერის უმრავლესობის ბატონობას ჰგულისხმობს. რამდენადაც საზოგადოებრივ ცხოვრების წიაღში არსებული წინააღმდეგობა, ანტაგონიზმი დომდება, იმდენად ნიადაგი ეცლება პოლიტიკურ დემოკრატიას. გარდამავალ პერიოდში, როდესაც საზოგადოებაში არსებული ძალები ერთმანეთს ებრძვიან, პარლამენტარიზმი როგორც ამ ძალთა ინტერესების შეთანხმებელი ორგანიზაცია ყოველ მნიშვნელობას კარგავს. განსაზღვრული კლასის მიერ წარმოებული ბრძოლას ამავე კლასის ორგანიზაცია სჭირდება და არა მოწინააღმდეგეთა მიერ „ხელისუფლების გაზიარება. პოლიტიკური დემოკრატიის ფორმა—პარლამენტარიზმი, კლასთა შეთანხმების, კლასთა სოლიდარობის ორგანიზაციაა, სოციალური რევოლიუცია კლასთა ბრძოლა, კლასთა ანტაგონიზმია. პარლამენტარიზმი არსებულ წყობილების შენარჩუნებისათვის იბრძვის, რევოლიუცია არსებული რეჟიმის რადიკალურ გარდაქმნისკენ ისწრაფვის. ამდენათვე ამ ორ მოვლენას შორის დიამეტრალური წინააღმდეგობაა. ორივეს ერთად მიღება შეუძლებელი შეცდომაა. მაგრამ ესეც არ კმარა.

ერთ ერთმა მემარჯვენე ფედერალისტმა (სახელ. უნივერსიტეტში) განაცხადა, რომ დიქტატურა აუცილებლად უმცირესობის ბატონობას ნიშნავსო. ასე, რომ ხალხის, ერის უმრავლესობამ, მშრომელმა, ხელში რომ აიღოს ძალა-უფლება და განუსაზღვრელი უფლებით მიმართოს ის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ეს დიქტატურა არ იქნება.

ფილოლოგიურად დიქტატურა ნიშნავს ბრძანებლობას (dico,ei—ბრძანება) ისტორიულად დიქტატურამ მიიღო ხასიათი განუსაზღვრელი უფლების მატარებელი სუბიექტისა. (სულ ერთია სუბიექტი უფლებისა ერთი პიროვნებაა, თუ ერის უმრავლესობა) დიქტატორს ძველად ეძახოდენ Magister populi, რომელსაც ირჩევდნენ რთული მდგომარეობის დროს. პირველი დიქტატორი იყო ტიტ ლარცი (498 წ. ქრ. დაბადებამდე) რომელსაც ემორჩილებოდა ყველა ჩვეულებრივი მაგისტრატები. ერთი სიტყვით თერმინის (დიქტატურის) პოლიტიკური გაგება, მისი კვალიფიკაცია ჰგულისხმობს განუსაზღვრელი უფლებით აღჭურვას უფლების მატარებელი სუბიექტისას. აქედანათვე შეუცდარია ის აზრი, რომ დიქტატურის შინაარსი უფლების მატარებელთა რიცხვობრიობზე დამყარებოდეს და არა უფლების ხარისხზე, მის ხასიათზე.

მაგრამ კიდევ საჭიროა ერთი გარემოება აღვნიშნოთ. მემარჯვენე ფედერალისტებმა მიიღეს რეზოლიუცია საბჭოთა სისტემის შესახებ, რომელშიაც ვკითხულობთ, რომ „საბჭოთა ხელისუფლებაც“ შესაძლებელია მშრომელთა ბატონობა და სოციალისტური აღმშენებლობა. როგორც ვიცით საბჭოთა სისტემა პროლეტარიატის დიქტატურის ფორმაა. მაშასადამე მიღება საბჭოთა სისტემის ლოღიკური აუცილებლობით ჰგულისხმობს პროლეტარიატის დიქტატურის მიღებასაც. შეიძლება მიიღო საბჭოთა სისტემა, რომელსაც სხვა შინაარსი მისცე, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა განმარტება საბჭოთა სისტემის შინაარსისა. ასეთი განმარტება მემარჯვენე ფედერალისტების რეზოლიუციაში არ სჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, მემარჯვენე ფედერალისტები იღებენ საბჭოთა სისტემას. ისინი ამასვე გვისაყვედურებენ ჩვენ. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ლობე-ყორეს ედებიან და ყოველ ჩვენს ნაბიჯს დემაგოგიურ მანტიაში ახვევენ. ჩვენ მივიღეთ „საბჭოთა სისტემა, როგორც საუკეთესო ფორმა მშრომელი კლასის ბატონობისა და უძლიერესი იარაღი ეროვნულ და სოციალისტურ მიზნების განხორციელებისა“. მაგრამ ჩვენ დიდი კორექტივი შევიტანეთ საბჭოთა სისტემის შინაარსში. ჩვენ არ შეგვეძლო მიღება პროლეტარიატის დიქტატურისა, რადგან პროლეტარიატი არ არის ერთადერთი მესაფლავე კაპიტალიზმისა, ჩვენ მივიღეთ „მშრომელთა დიქტატურა“ ამ ცნების ფართო შინაარსით. ამის შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტები კიდევ გვისაყვედურებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვის თვალში „ბეწვს“ ეძებენ, ხოლო საკუთარში „დირეც“ შეუმჩნეველი რჩებათ.

ამის შემდეგ ბუნებრივად ისმის საკითხი: შეიძლება თუ არა მემარჯვენე ფედერალისტებმა, საბჭოთა სისტემის ნიადაგზე მდგომმა ხალხმა, მოითხოვოს „ოთხფორმულიანი“ არჩევნები,

როგორც ვიცით, ოთხფორმულიანი არჩევნები პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველია. საბჭოთა სისტემა კი პოლიტიკური დემოკრატიის მოწინააღმდეგე ცნებაა. იგი თავის თავად გულისხმობს დიქტატურას განსაზღვრული კლასის მიერ და მის ხელში ძალა-უფლების გადასვლას. ამდენადვე საბჭოთა სისტემის ნიადაგზე დგომა და „ოთხფორმულიანი“ არჩევნების მოთხოვნა (წარმოიდგინეთ ამ მოთხოვნის ნიადაგზე ბოიკოტის წარმოება) ნიშნავს ელემენტარ პოლიტიკურ საკითხთა გაურკვევლობას, სრულ უვიცობას ან შეგნებულად სიყალბეს, დემაგოგიას.

ამიტომ იყო, რომ მემარჯვენე ფედერალისტები კურიოზულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ არჩევნების დროს. ისტორიამ ბევრი რამ უთხრა მემარჯვენე ფედერალისტებს, მაგრამ ისტორიის გაკვეთილები მათთვის მკვდარია. ამ შემთხვევაშიაც ხსენებულმა პარტიამ სრული დაბნევა და უვიცობა გამოიჩინა, თორემ შეგნებული დემაგოგიც არ იტყვის ისეთ „სიბრძნეს“, რასაც მემარჯვენე ფედერალისტები აცხადებდნენ.

თქმა არ უნდა გასულ არჩევნებს ნაკლი ჰქონდა, ეს იყო მოქალაქეობის პრინციპის არ დაცვა და დიდ არჩევნები.

ეს ორი მხარე არჩევნებისა შეგვეძლია დავიწუნოთ, დავგმოთ, მაგრამ ამის გამო პარტიას არ შეეძლო ბოიკოტის წარმოება. პარტიამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 90 წლის ერობის არჩევნებში, პარტიამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ასეთმა პარტიამ ბოიკოტი გამოაცხადა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო ელემენტები ღებულობენ მონაწილეობას არჩევნებში და „ოთხფორმულიანი“ არჩევნები არ არისო. სად არის აქ პოლიტიკური სინდისი? სად არის ერის სამსახური? სად არის ლოღიკა? როდის იყავით მართალი ერობისა და სათათბიროს არჩევნების დროს, თუ ეხლა? სტოლიპინ პურიშკევიჩი უფრო ახლოა თქვენთან ვიდრე ლენინ-ტროცკი? ვის ბატონობას ურიგდებოდით და ვის ებრძვით? ვისთან თანამშრომლობდით და ვის გაურბიხართ? ისტორიის სამართლის მაინც გეშინოდეთ...

ხერ. ამაღლობელი.

## გადაუწყვეტელი საკითხი

ლეონიდ ანდრეევს აქვს ერთი მოთხრობა შემდეგი სათაურით „ამბავი, რომელიც არასოდეს არ დასრულდება“.

ანალოგიური მდგომარეობას განიცდიდა სტუდენტთა საკითხი საქართველოში. ეს საკითხი იყო საკითხი, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევდა და მაშასადამე მისი დასრულებაც, გადაწყვეტაც პრობლემატიური ბუნების მოვლენად იყო წარმოდგენილი.

ჩვენმა პრესამ ამ საკითხის შესახებ, გამოთქვა თავისი აზრი და სწავლის დასაწყის მოთავონა ახალ-შემოსულთა დიდი მნიშვნელობა მოსწავლე ახალგაზრდობისა ახალი წყობილების შექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულობაში და ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენი სტუდენტობა. ჩვენ იმ თავითვე იმ აზრის ვიყავით, რომ ყოველგვარ შემთხვევაში ვერ დარჩება ჩვენი სტუდენტობა დახმარების გარეშე.

დღეს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, დიდი ზომებია ამ მხრივ მიღებული. უღარიბეს სტუდენტებისათვის გადადებულია დახმარება, რომელიც სრულ უზრუნველყოფას ჰპირდება სტუდენტს.

შედარებით ძველ პირობებთან მდგომარეობა უმჯობესია. წინეთ სტუდენტობა არ თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან, რაც პირდაპირ შეუძლებლობას ქმნიდა აკადემიური მუშაობისათვის. ამას გარდა არავითარი დახმარება სტუდენტობისათვის არ არსებობდა. ამათ იყო სტუდენტთა დელეგაციები, მათი თხოვნები, დემონსტრატიული გამოსვლაც კი.

სწავლა-აღზრდა სახალხო კომისარიატის საქმეც იყო გამოცხადებული. როცა „სახალხო“ რაზმებისათვის მილიონები იხარჯებოდა, სტუდენტობისათვის კი არავითარი დახმარება არ იყო. მიზეზი დაუხმარებლობისა კი იყო ის „მძიმე ობიექტიური“ პირობები, რომლითაც თავს იმართლებდნენ მენშევიკები ყოველი „მარცხის“ დროს.

დღეს, როგორც მოველოდით, მდგომარეობა გაუმჯობესდა. სტუდენტობა სამხედრო ბეგარისაგან დროებით თავისუფალია. ღარიბ სტუდენტებისათვის სტიპენდიები ნაწილდება.

თქმა არ უნდა ეს ვერ დააკმაყოფილებს სტუდენტთა გასაჭირს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, განათლების კომისარიატი შეძლებისდაგვარად ეცდება თანდათანი გაუმჯობესება მოახდინოს სტუდენტთა ცხოვრების პირობებისა.

ეს ეროვნული საქმის, ეროვნული კულტურის სამსახურია.

ბევრს ეროვნული პოლიტიკა ესმის, როგორც საგარეო სისტემების პოლიტიკა ან აგრესიული პოლიტიკის წარმოება. ჩვენთვის კი ეს საკითხები სრულებით მოხსნილია ეროვნული პოლიტიკის წარმოების სფეროში.

ჩვენ პატარა ერი ვართ. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ვერ იხსნის ვერც შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი, ვერც საკუთარი ფიზიკური ძალა იარაღში ჩამჯდარი. ჩვენი ხსნა კულტურაშია. საქართველოს ადიდებს კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებით შეიძლება.

სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს, ვინც ხელს უშლის ჩვენში კულტურის აყვავებას, მის გაფურჩქვნას, იგი მოღალატეა არა მარტო კულტურული პანთეონის წინაშე, არამედ იგი მოღალატეა პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი პანთეონის წინაშეც.

ამიტომ საქართველოს მეცნიერების ტაძრის, ქართ. უნივერსიტეტის დახმარება უაღრესად პატივსადები და დიდი იმედების აღმძვრელი მაგალითია.

რუსეთის ინტელიგენცია დღეს „სინანულით“ უბრუნდება რუსეთის ხალხის სამსახურს. ამით იგი მართლაც ასწორებს თავის დანაშაულს. ქართველებში ინტელიგენციამ ეხლავე ფხიზლად უნდა შეუდგეს მუშაობას ქვეყნისათვის.

იგი გვერდში უნდა ამოუდგეს დღევანდელ ხელისუფლებას ყველა იმ საქმის მოგვარებაში, რაც სასარგებლოა ერისა და ხალხის ინტერესებისათვის.

სტუდენთა დახმარება საუკეთესო ილუსტრაციაა იმ გარემოების, რომ დღეიდან „არსებული ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას მიაქცევს ჩვენი კულტურის აყვავების საქმეს დაადანახვებს ყველას, რომ საქართველო საქართველოთ უნდა დარჩეს.

ჩვენ არ გვაშინებს ის შეცდომები, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ არსებობს ჩვენს სინამდვილეში. თუ ჩვენ არსებული ხელისუფლება მოგვცემს ასეთი მაგალითებით გარანტიას, რომ საფრთხე არ მოელის საქართველოს წმიდათა წმიდას, ქართულ კულტურას, მასთან იქნება მთელი ქართველი ხალხი და საერთო ძალღონით გამოასწორებს იმ შეცდომებს, რომელსაც ადგილი ექნება ახალი წყობილების მშენებლობის პროცესში.

ქართველი სტუდენტობა იბრძოდა არა ვინმეს დესპოტიისათვის ქართველი სტუდენტობა სისხლს ღვრიდა არა ვინმეს ჯიბეების გათლისათვის, არამედ იგი იბრძოდა ქართული კულტურისათვის, ქართული ენისათვის, ეროვნული სახელმწიფოსათვის და იგი მომავალშიაც ზვარაკათ შეეწირება იმ წყობილებას, რომელიც შეძლებს პირნათლად ემსახუროს ჩვენი მშრომელი ხალხის ეროვნულსა და კლასობრივ ინტერესებს.

ს.—ძე.

## ახალი ამბები

— ქობულეთიდან წერილით მოგვმართა ტფილისის ქართველობას, ქართველმა მაჰმადიანმა იუსუფ ძიძაძემ, ბათუმის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ, ასეთის დავალებით: აჭარის ბათუმისა და ქუთაისის გიმნაზიებში ვსწავლობდი სხვათა ქართველთა დახმარებით; ეხლა დავრჩი დაუხმარებელი და ამიტომ ვსცდები სწავლის დამთავრებასაც. მივმართავს მოძმე ქართველ ქრისტიანებს და ავალებს დახმარებას, რომ ეგები ბათუმის გიმნაზიაში სწავლა დავამთავრო. დახმარების მიცემა ყველას შეუძლიან მით, რითაც შეეძლება. მისამართი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამგეობა, დამ. კარიჭაშვილს.

— ამ მოკლე დროში ტფილისში გაყიდულა მეტად ძველი საქმეები, მიგალითად 1801 წ. ანუ რუსების შემოსვლის დღიდან საქართველოში, სადაც ბევრი მასალები ყოფილა რუსების მოსვლის შესახებ საქართველოში და რუსის პირველი გუბერნატორის კნორინგის და მინისტრ კოვალენსკის მოქმედების ცნობები. ამ მასალებიდან მცირეოდენი გადაარჩინეს დაწვევა-დაფუხრეწას.

— ჩვენ ვნახეთ ერთი ოსმალური პატარა წიგნი, არაბული ანბანისა, რაც ოსმალოს მთავრობას დაუბეჭდია თავის საფასით. წიგნი იმ მიზნით არის შედგენილი და დაბეჭდილი 1887 წ., რომ ქართველ მაჰმადიანთ შვილებში რაც შეიძლება ადვილად გავრცელდეს ოსმალური ენა და არაბული ანბანი და მის გავლენით ქართული ყოველივე მოისპოს. სხვათა შორის, წიგნში მოთავსებულია სხვა და სხვა სურათებიც და ლამაზათაც არის დაბეჭდილი. ჩვენდა საკვირველად ასეთი წიგნი მაშინ გამოუცვიათ საქართველოს ძველ ქალაქ ართვინში (ართვინი).

— ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქუჩ. № 13. ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მორიგი მეხუთე ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს კოკი აბაშიძე „ტრაგიკული მხარე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“. დასაწყისი საღამოს 6 საათზე, დასწრება შეუძლია ყველას. შესვლა უფასოა.

— ზამთრის კანიკულები. სახ. განათ. კოლეგიამ დაადგინა დააწესოს საზამთრო კანიკულები ყველა სასწავლებლებში 1 იანვრიდან 16-დის შკოლების ყველა გამგეებს ამ დროისათვის ეძლევა წინადადება წარმოადგინონ მუშაობის ანგარიში.

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა რწმუნებულების საგანგებო კრება დანიშნულია 8 იანვრისათვის 1922 წლისა, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5). განსახილველი საგნებია: 1, მთავარ-გამგეობის მოხსენება საზოგადოების მდგომარეობის შესახებ და 2, საზოგადოების წესდების და სახელწოდების შეცვლის საკითხი.

— ტელეფონით სარგებლობის გადა. თანახმად სახალხო კომისრის განკარგულებისა გაგრძელებულია ერთი კვირა, ე. ი. 25 დეკემბრამდის, ვადის გასვლის შემდეგ, ვინც არ გადაიხდის, ტელეფონები გამოერიცხებათ.

— მუშათა ფაკულტეტი. ინჟინერი ა. მ. ესსენი დანიშნულია მუშათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეთ. ჩაწერა და მიღება მუშათა ფაკულტეტზე ვაკანსიის უქონლობის გამო შეწყვეტილია. შემდეგი შენობის უქონლობის გამო მუშათა ფაკულტეტის მსმენელებისათვის საერთო საცხოვრებლათ მათ მიუჩინეს ბინა მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში.

— კლუბის ცხოვრების გაჯანსაღება. ტფილისის კლუბების ცხოვრების შემჩნეულ შეცდომების გამო საქართველოს პროფკავშირის საბჭოს კლუბის განყოფილებამ მიანდო ამხ. რაზმანს, დაათვალიეროს ყველა კლუბები. გაეცნოს კლუბების მართველობათა და გამგეობის შემადგენლობას, გამოარკვიოს მუშაობის უნარი და გამოიმუშაოს ზომები კლუბების ცხოვრების გასაჯანსაღებლათ.

## ასოთ-ამწყობის სიმღერა

ჩამომდნარი, ჩამომხმარი,
აკინძული ჩონჩხივითა,
ხან მწყურვალი, ხან მშიერი,
მობარბაცე ლოთივითა;
ფეხზე დგომით მოქანცული,
ჩაცვინული თვალებითა,—
ასოს ვცენცავ განუწყვეტლივ
სანთელივით თითებითა.
სინათლე გვმოთელია
ხელნაწერი დედნებითა;
ხან გონება აგვირევია
ხარა-ხურა მწერლებითა;
ხალხის თვალში ჩვენც ვითვლებით
მოწინავე მუშებითა,
მაგრამ საქმით ვინ გვაფასებს,
გვთვლიან საწყალ ფურებათა.
ასე მუდამ მოღალულნი
„ნორმის“ წყობით „პრემიითა“,
ასოებს ვთვლით, ფერ-მიხდილნი,
დაფუსფუსებთ მწერივითა.
თავს გვამეზრებს, გულს გვიწყალებს
ფუტურისტი პოეტები,
მრავალკუნტა ნაწერები,
ლექსები და სონეტები.
ასე ვშრომობთ განუწყვეტლივ,
სანამ შეგვწევს მუხლში ძალა
და, როდესაც მოვილევით,
მოგვერდება თავის ქალა,—
ქუჩისაკენ გადგვისვრიან,
აღარ გრძნობენ ჩვენში ძალას.
სადღაც სული ამოგვხდება
როგორც გლახას, მაწანწალის!..

ასოთ-ამწყობი ჰ. ახალქალე.

— ბათუმის ნავთ-სადგური. 18 დეკემბერს ბათუმის ნავთ-სადგურში მოვიდა გოლანდიის გემი „სკოპაში“ და 4 იალქნიანი გემი. ნავთ-სადგურიდან გავიდა გემი ოდესაში 8186 ფუთი საქონლით და 8 მგზავრით. ნავთ-სადგურში მყოფ იალქნიან გემების რიცხვი საერთოდ უდრის—10-ს 14 დეკემბერს ბათუმიდან გავიდა 7 იალქნიანი და მისაბმელი გემი 2400 ფ. სხვა და სხვა საქონლით დატვირთული 800 ფუთი ნავთით და 900 ფუთი ქონით. ნავთ-სადგურში ღამის 12 საათზე იდგა 10 ორთქმავალი გემი და 94 იალქნიანი.

— ცარიელი ვაგონების შემადგენლობის გამოყენება. 20 დეკემბრიდან დანიშნულია ყოველდღიური მიმოსვლისათვის მატარებელი № 26 დახურულ ცარიელ ვაგონების შემადგენლობით, რომელიც მიდის სურსათის დასატვირთავათ. ტფილისიდან გავა დილის 10 საათზე და 30 წუთზე, გორიდან დღის 3 საათზე, ხაშურიდან საღამოს 7 საათზე, ზესტაფონიდან ღამის 1 ს. და 45 წუთზე, რიონიდან ღამის 3 ს. და 50 წუთზე, სამტრედიიდან დილის 8 საათზე და ბათუმში მივა დღის 3 საათზე.

## რუსეთი

მოსკოვი. დეკემბრის 17. უკანასკნელ 4 თვის რეგისტრაციამ ცარიცინის გუბერნიაში აღნიშნა 4,086 დაბადება და 8,081 სიკვდილი.

მოსკოვი. დეკემბრის 17. კოსტრომის გუბერნიაში საბჭოთა ყრილობამ გამოარკვია, რომ სიმშილის დაძლევა გარეშესაგან დაუხმარებლად შეუძლებელია. მოზრდილ მცხოვრებთ იმედი ჰქონდათ ტყის მუშაობისა, მაგრამ მისი მოწყობა შეფერხდა სურსათის ნაკლულევანების გამო. მცხოვრებლები შეუდგნენ საქონლის გაძლიერებულ ხოცვას. სჭამენ კართოფილის თესლს. მეურნეობა ინგრევა.

პარიზი. 15 დეკ. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ჰუვერმა გააკეთა სპეციალური მოხსენება რუსეთის მდგომარეობაზე. მან განაცხადა, რომ იმ რაიონებში, სადაც სიმშილი მძვინვარებს ეპიდემიური სენიც მოედებულია და რომ მცხოვრებლებს არა აქვთ მედიკამენტები და ჰოსპიტლის მოწყობილობა. რამდენიმე რაიონში შემჩნეულია მალარიის დიდი პროცენტით ავადმყოფობა. ქინაქინა კი არ არის, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ეხლანდელ რუსეთის მთავრობასთან სთქვა ჰუვერმა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის თავზე დატყდარ უბედურობის მომეტებულ ნაწილში პასუხისგებას ამ მთავრობას ვერ დავაკისრებთ.

ჩიტა. დეკემბრის 10. ხარბინიდან ზღვისაკენ გაემართა ეშელონი უნგერცებისა. იაპონიის სარდლები მერკულოვებთან ერთად აწყობენ შეიარაღებულ რაზმებს კორეისა და ჩინეთის მცხოვრებთაგან, რომელსაც აძლევენ იარაღს.

ჩიტა. დეკემბრის 10. მონგოლიის სახალხო არმიამ გაანადგურა დასავლეთ მონგოლიაში დარჩენილ უნგერიანცების ჯარი და დაიჭირა ქალაქი ობდო. ტყვედ ჩაუვარდათ 200 უნგერნელი ტყვიის მფრქვეველითა და თოფებით.

ჩიტა. დეკემბრის 10. იაპონიის პოლიციამ ლიკვიდაცია უყო იაპონიის სოციალისტურ ორგანიზაციებს. მრავალ ადგილს იაპონიაში დატუსაღებულია სტუდენტები, რომელნიც ავრცელებენ სოციალისტურ ლიტერატურას.

მოსკოვი. 17 დეკ. „იზვესტიაში“ ამხ. სტეკლოვი სწერს: შესახებ უცხოთ შემოწირულების შეწყვეტაზე დამშეულთა სასარგებლოდ და აყენებს კითხვას მეორენაირ დახმარების მეთოდზე. სახელდობრ, იძულებითი ჩამორთმევაზე. თავისი სურვილით შეტანა, სწერს სტეკლოვი, დამყარებულია ენტუზიაზმე ლტოლვაზე და თავდავიწყებაზე, მაგრამ ჩვეულებრივ ეს გრძნობები არ არის ხანგრძლივი და არც იპყრობს ის ფართო წრეებს. და რადგან დამშეულთა ხსნა სიკვდილისაგან და მეურნეობის აღდგენა მიუცილებელი საჭიროა, ამისათვის უნდა მივმართოთ საერთო იძულებითი გაწერას. თავიანთი ქურქის დამცველნი რასაკვირველია ყვირილს მორთავენ. მაგრამ მცხოვრებთა უმრავლესობა ბოლოს და ბოლოს იცნობს ამ ზომის სარგებლობას და შეურიგდება მას. ამხანაგი სტეკლოვი ფიქრობს, რომ მომავალმა საბჭოთა ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი და სთქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

## უცხოეთი

ოდესა. 17 დეკ. ქემალ ფაშის მთავრობამ ნება დართო აღადგინონ პირდაპირ საზღვაო სამგზავრო რეისი საბჭოთა პორტებისა შავი ზღვისა და ანატოლიის შუა, ამ პროექტის დამტკიცების შემდეგ ცენტრალ გადაიქცევა რეისი ოდესა-ტრაპიზონი, ნოვოროსიაში და ბათუმში შესვლით.

ლონდონი. „ტაიმსი“ სწერს: ლორდთა პალატის სხდომაზე ლორდ სიდენგამი გამოვიდა გამომწვევი სიტყვით, რომელმაც ყურადღება მიიქცია [illegible] მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვით, ბრიტანეთის მთავრობა მთლიანათ პასუხისმგებელია, იმ შეცდომებში, რომელიც დაშვებული იყო ინდოეთში, იმ სიუძლურის გამო რომ მან ვერ შეძლო წეს-რიგის დაცვა იქ და თავის პრესტიჟის დაჭერა. ინგლისმა პირველ ყოვლისა უნდა იზრუნოს მასზე, რომ გამოიწვიოს თავის თავისადმი პატივისცემა დაამყაროს უშიშროება და დაიცვას სამართლიანობა. საპასუხოთ გამოვიდა ლორდი კერზონი და აღნიშნა ის რომ ინდოეთის საკითხის განსახილველად ერთობ უხერხული დროა არჩეული იმ დამოკიდებულებათა სიმწვავის გამო, რომელიც მეფობს ინდოეთში. ლორდ შელმსფორდმა მხარი დაუჭირა კერზონს და აღნიშნა, რომ არ შეიძლება ინგლისის მთავრობის გამტყუნება ინდოეთის ამბების გამო. ინდოეთში შექმნილი მდგომარეობა შედეგია ირი რასის მტრობისა. შელმსფორდის აზრით საკითხის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ინდოეთისათვის ფართო ავტონომიის მიცემით და კონსტიტუციის გზით ფართო რეფორმის გატარებით.

მოსკოვი. ვარშავის გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ მოათავსა სტატია გავრონსკისა, სათაურით „ბოლო დღეები პეტლიურას იმედების“, რომელშიაც იწყება, რომ პეტლიურას ოინების სრული სიკოტრისა გამო ტარნოვაში ახალმა პოლიტიკურმა კომბინაციამ იჩინა თავი. უკრაინის ესერების ჯგუფებმა და ესდეკებმა ყოფილ პეტლიუროვცებთან ერთად შექმნეს საერთო დემოკრატიული ბლოკი, მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ აგრეთვე კადეტებსაც. გავრონსკის ცნობით მილიუკოვი, რომელიც არა ცნობდა უკრაინის სახელმწიფოებრიობას პროფესორ გრუშევსკის სქემისას. ეხლა აღიარებს პრინციპს ფედერაციისას და თანახმაა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში, რომელიც მოწვეული იქნება სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

მოსკოვი. 17 დეკ. პრუსიის ლანდტაგის კომისიამ გადასწყვიტა აძრას საქმე სასამართლოში საჩივარი წინააღმდეგ კომუნისტების დეპუტატის ებერლაინისა და დაატუსაღონ იგი. დაუყოვნებლივ დატუსაღებისათვის ხმა მისცა 10 კაცმა წინააღმდეგ 5-სა.

მოსკოვი, 17 დეკემ. რეინის ოლქის პოლიტიკურმა პარტიებმა 12 დეკემბერს გამოაქვეყნეს განცხადება შესახებ ერთი ფრონტის შექმნისა რეინის პროვინციებში საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩვენ ყოველთვის დავრჩებით გერმანიასთან გადაბმული და მოსმენაც არა გვსურს რეინის ოლქის გამოყოფაზე. ეს არის ჩვენი ღრმა რწმენა, ასეთია მცხოვრებთა მტკიცე ნების ყოფა.

## თეატრი და ხელოვნება

### რუსთაველის თეატრი.

ბეჯითად მზადდება და ახლო მომავალში დადგმული იქნება აკ. წერეთლის „თამარ ცბიერი“. ამ პიესისათვის თეატრის მხატვარი სიდამონ-ერისთავი ხატავს ახალ დეკორაციებს და ახალ ტანსაცმლების ესკიზებს. პიესას სდგამს რეჟისორი აკაკი ფალავა. თეატრის ადმინისტრაცია არ ზოგავს არაფერს, რომ პრემიერა გამოვიდეს მხატვრული და ფეროვანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** რკ. გზის მოწმობა № 158, რომელსაც გაუქმებულად ვაცხადებ. ამბროსი სვანიძე.

№ 153

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვა**
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნაკი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ახალბებუთოვის ქ. № 5. (Новобебутовская). 152.

კბილის ექიმი
**პ. გ. ხარებავა ბაქრაძე**
იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.
109